



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### ლიპარტელიანი ვარლამ გურამის ძე



ვ. ლიპარტელიანი

ლიპარტელიანი ვარლამ გურამის ძე (დ. 27. II. 1989, ლენტეხი). სპორტსმენი (ძიუდო). ოლიმპიური თამაშების მეორე პრიზიორი (2016, რიო-დე-ჟანეირო). ევროპის სამგზის ჩემპიონი (2012, 2014, 2016), მეორე (2009, 2010, 2013, 2021) და მესამე (2011) პრიზიორი. ევროპის ჩემპიონი (2010, 2012-14, 2016), მესამე პრიზიორი (2011) გუნდურ შეჯიბრში. ევროპის თამაშების მეორე პრიზიორი (2015, 2019) და ასევე მეორე პრიზიორი გუნდურ შეჯიბრში (2015). მსოფლიო ჩემპიონატების სამგზის მეორე (2013, 2017-18) და მესამე (2014, 2015, 2021) პრიზიორი. მსოფლიოს ჩემპიონი (2008, 2013) და მესამე პრიზიორი (2014) გუნდურ შეჯიბრში. მსოფლიოს თასის ხუთგზის მფლობელი (2008-10, 2012, 2017). „დიდი მუზარადის“ ხუთგზის გამარჯვებული (2012-13, 2015, 2018-19) და მეორე პრიზიორი (2022). მსოფლიო ჩემპიონი (2008) და ევროპის ორგზის ჩემპიონი (2007-08) ახალგაზრდებს შორის.

---